

2003 წლის მაისის შემდეგ განვითარებული ძირითადი მოვლენები: 2004 წლის სექტემბერში, ეუთო აღმფოთება გამოხატა საქართველოს და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ახალი ნაღმების განთავსების საკითხით. 2004 წლის დასაწყისში, მეამბოსეებმა აჭარის რაიონში განათავსეს ნაღმები, რომლებიც შემდეგ საქართველომ გააუგნებლა. 2003 წლის სექტემბერში, საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ კოდორის ხეობის ერთობლივ განაღმვაზე. Survey Action Center-მა 2004 წლის ივლისში განახორციელა წინასწარი კვლევის მისია (Advance Survey Action) საქართველოში, რათა შეეფასებინა ნაღმების ზემოქმედების ფაქტორთა კვლევის მოთხოვნები (Landmine Impact Survey). ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის (ICBL) საქართველოს კომიტეტმა კახეთის რეგიონში ჩაატარა ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სასწავლო სემინარები 119 მასწავლებისათვის. 2003 წელს, საქართველოში ნაღმების/აუფეთქებელი ჭურვების გამო გამოწვეული სულ მცირე 50 უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარ შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2002 წელს რეგისტრირებულ 97 შემთხვევასთან შედარებით.

1999 წლის შემდეგ განვითარებული ძირითადი მოვლენები როგორც ჩანს, საქართველოს შეიარაღებული ძალები 2001-დან 2004 წლამდე პერიოდში ყოველ წელს იყენებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მრავალჯერ უარყო ეს ფაქტი. ამასთან, კერძო შეიარაღებულმა ჯგუფებმა საქართველოდან შეაღწიეს აფხაზეთში და განათავსეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. 2002 წელს ნატომ თანხმობა განაცხადა უზრუნველეყო დახმარება სამხედრო ბაზების მიმდებარე ტერიტორიებზე აუფეთქებელი ჭურვების გაუვნებლების საქმეში, მაგრამ 2004 წლის შეკვეთში, პროექტი ჯერ არ იყო დაწყებული. 2001 და 2002 წლებში აშშ-მ საქართველოს გაუგზავნა გასანაღმი მოწყობილობები, და მოამზადა ქართველი გამნაღელი ინსტრუქტორები. საქართველო ხშირად გამოხატავდა შხარდაჭერას ნაღმების აკრძალვის კონვენციის მიზნების მიმართ, და მხარს უჭერდა გაეროს ყოველწლიური გენერალური ასამბლეის ყოველ რეზოლუციას, რომელიც ნაღმების აკრძალვის კონვენციის უნიფიცირებას ითვალისწინებდა. ICBL-ს საქართველოს კომიტეტმა ნაღმების/აუფეთქებელი ჭურვების გამო გამოწვეული 266 უბედური შემთხვევა დააფიქსირა 2001 წელსა და 2004 წლის აპრილს შორის პერიოდში.

ნაღმების აკრძალვის პოლიტიკა

საქართველო არ შეუერთდა ნაღმების აკრძალვის კონვენციას, მაგრამ ის მხარს უჭერს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების საყოველთაო აკრძალვას. 2003 წლის ივლისში Landmine Monitor-სათვის გაგზავნილ წერილში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური აღნიშნავს: „საქართველო სრულიად იზიარებს საერთაშორისო საზოგადოების აღმფოთებას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების პრობლემათან დაკავშირებით“ და „ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ . . . ხელი შეუწყოს ზემოხსენებული საფრთხის აღმოფხვრას და თავიდან აცილებას!“

საქართველო აცხადებს, რომ ის არ შეუერთდა ნაღმების აკრძალვის კონვენციას იმის გამო, რომ მისი იურისდიქცია არ გრცელდება დანაღმულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და, რომ მას წარმოექმნება პრობლემები ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დატოვებული ნაღმებისა და აუფეთქებელი ჭურვების (UXO) გაუვნებლებასთან დაკავშირებით². საქართველომ ასევე განაცხადა, რომ „ფინანსური და ტექნიკური დახმარების გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს მისი ვალდებულებების შესრულებას“ ნაღმების აკრძალვის კონვენციის შესაბამისად³.

საქართველო 1997 წელს მონაწილეობდა ოტავას პროცესში, როგორც დამკვირვებელი, ასევე ოსლოში წარმოებულ მოლაპარაკებებში და ოტავაში შემდგარ ხელმოწერის ცერემონიალზე⁴. საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს ყოველწლიური გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას 1996 წლიდან, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის 2003 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებას 58/53, რომელიც ითვალისწინებდა ნაღმების აკრძალვის კონვენციის უნიფიცირებას. საქართველოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ მხარე-სახელმწიფოების ხუთი

წლიური კრებიდან სამ კრებას (1999, 2000 და 2002) და სესიათაშორისო მუდმივმოქმედი კომიტეტის ერთ სხდომას 2003 წლის ოქტომბერში.

ICBL-ს საქართველოს კომიტეტმა 2004 წლის 2 აპრილს ჩატარა პრეს-კონფერენცია საქართველოში ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემის განსახილველად, და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უმასპინძლეს რეგიონულ კონფერენციას თბილისში, 1999 წლის დეკემბერში. ICBL-ს წარმომადგენელი და ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოდი უილიამსი ორჯერ ეწვია საქართველოს, კონვენციაში შეერთების საკითხის განსახილველად, 1999 წლის ოქტომბერში.

საქართველო ჩვეულებრივი იარაღის შესახებ 1980 წლის კონვენციისა და მისი II პროტოკოლის მონაწილეა, მაგრამ მას არ მოუხდენია ნაღმების შესახებ II შესწორებული პროტოკოლის რატიფიცირება. რაც შეეხება II შესწორებულ პროტოკოლში მონაწილეობას, „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ეტაპზე არამიზანშეწონილად მიიჩნევს ჩვეულებრივი იარაღის შესახებ 1980 წლის კონვენციის II შესწორებულ პროტოკოლში შეერთებას, საქართველოს მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიების არსებობის გამო⁵. 2003 წლის ნოემბერში, საქართველოს წარმომადგენლები (დამკირვებლების სახით) ესწრებოდნენ II შესწორებული პროტოკოლის მხარჯ-სახელმწიფოთა მეური წლიურ კონფერენციას.

წარმოება, გადატანა და მარაგი

სახელმწიფო თანამდებობის პირები ჯერ კიდევ აცხადებენ, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს არასოდეს განუხორციელებია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება, ექსპორტი ან იმპორტი⁶. საქართველომ ყოფილი საბჭოთა კავშირისაგან მემკიდრეობით მიიღო ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მცირე მარაგი. ამ რეზერვების ზუსტი მოცულობა და შემადგენლობა უცნობი რჩება⁷.

2002 წელს, რუსეთმა საქართველოში დაიწყო მისი ძველი საბრძოლო მასალებისა და ნაღმების მარაგების განადგურება, რომლიბიც ინახებოდა საქართველოს სამ სამხედრო ბაზაზე⁸. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2002 წლის 15 მარტს, რუსეთმა გაანადგურა 500 ნაღმი, რომელიც ინახებოდა საგარეჯოში არსებულ მის ყოფილ ბაზაზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2004 წელს მრავალჯერ განაცხადა, რომ ის მზად არის დააფინანსოს საქართველოში არსებული ორი სამხედრო ბაზიდან რუსეთის გასვლის ოპერაციები⁹.

გამოყენება

1996 წლის სექტემბრიდან საქართველოს ოფიციალურად გამოცხადებული აქვს მორატორიუმი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შესახებ¹⁰. თუმცა, როგორც ჩანს, 2001 წლიდან მოყოლებული, საქართველოს შეიარაღებული ძალები ყოველწლიურად იყენებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს. საქართველო უარყოფს ამგვარი გამოყენების ნებისმიერ ფაქტს.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის სექტემბერში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენლებმა გამოხატეს აღშფოთება „იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველო და სამხერეთ ოსეთი ახორციელებენ კონფლიქტის ზონის დანაღმებას.“ ეუთოს ინფორმაციით, კონფლიქტში მონაწილე მხარეები აძლიერებენ მათი თავდაცვის საშუალებებს ასევე, განაგრძოენ ტერიტორიების დანაღმებას. საქართველოში ეუთოს მისი სელმძღვნელმა როი რიგმა განაცხადა, რომ ნაღმების განთავსება აბსოლუტურად მიუღებელია და ეს საკითხი განიხილება საქართველოსა და სამხერეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროებთან¹¹.

2004 წლის 19 აგვისტოს, რუსეთის სამშვიდობო ძალები შევიდნენ და დაიკავეს ქართული ჯარების მიერ გათავისუფლებული სამხერეთ ოსეთის სადაცო ტერიტორია ცხინვალის რაიონში, ამტკიცებდნენ რა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დანაღმებს ტერიტორია. რუსმა გენერალმა სვიტოსლავ ნაბზდოროვმა განაცხადა, რომ „[ქართულმა] ჯარებმა სურპრიზები დაახვედრეს აქ ჩამოსულ სამშვიდობო ძალებს. . . . ჩვენ გავანადგურეთ ორი ასეთი სურპრიზი - მაგთულიანი ნაღმები“¹². გენერალმა მოგვიანებით აღნიშნა, რომ ქართულმა ძალებმა განათავსეს სულ მცირე 215 მავთულიანი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი და 20 სხვა სახის ნაღმი¹³. ამ რეგიონში ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ქართულ-ოსური ერთობლივიმა სამშვიდობო ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ოსური სოფელი სარაბუკი ქართველების ჩამოსკლამდე დაინაღმა. ამ პირმა აღნიშნა, რომ ორი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა ნაღმის აფეთქებისას, მაგრამ ორივე შემთხვევა ოსების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მოხდა, და არა ქართველების მიერ ყოფილ დაკავებულ ცხინვალის რაიონში. იმის გამო, რომ ბევრი არალეგალური

შეიარადებული ჯგუფი მუშაობს ამ რეგიონში, რთულია იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის ასუურისმგებელი ნაღმების განთავსებაზე.

2002 წლის თებერვალში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა, რომ 2001 წელს საქართველოს შეიარადებულმა ძალებმა აფხაზეთის ახლოს, კოდორის ხეობაში რამდენიმე ადგილას განათავსა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები¹⁴. არსებობს ინფორმაცია და დსო-ს სამშვიდობოების განცხადება იმის თაობაზე, რომ 2002 წლის ივლისში, საქართველოს შეიარადებული ძალები განაგრძობდა ნაღმების განთავსებას კოდორის ხეობაში. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორში, ემზარ კვიციანმა, 2003 წლის მარტში განაცხადა, რომ ქართული ჯარები რეგულარულად ნაღმავენ ამ ადგილს¹⁵. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამდებობის პირებმა უარყვეს, რომ საქართველომ ახალი ნაღმები განათავსა კოდორის რეგიონში¹⁶. 2003 წლის ივლისში Landmine Monitor-საოვის გაგზვილ წერილში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე აღნიშნავს: „მინდა დაგარწმუნოთ, რომ 1996 წლიდან (როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ერთმხერივი მორატორიუმი გამოაცხადა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებაზე, იმპორტსა და ექსპორტზე) საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები თავს იკავებენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებისგან.“¹⁷

2004 წლის აპრილში, საქართველოს აჭარის რეგიონის რეგენერატ-ლიდერმა ასლან აბაშიძემ გასცა ბრძანება ბათუმის ნაგორიტერმინალის ტერიტორიაზე ნაღმების განთავსების შესახებ. საინფორმაციო საშუალებების მიერ გადმოცემული ინფორმაციის თანახმად, ქართულმა ძალებმა გააუკნებლეს ნაღმები 2004 წლის მაისში¹⁸. მათ აღმოაჩინეს 200 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი მდინარე ჩოლოქის ნაპირზე¹⁹. 2004 წლის მაისში აბაშიძის გაცევის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უბრძანა აჭარის მემბონების ჩაებარებინათ მათი იარაღების მარაგები, რის შედეგადაც ოფიციალურმა პირებმა მიიღეს დიდი რაოდენობით იარაღი და აღჭურვილობა, მათ შორის ნაღმები²⁰. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა აჭარაში ამოღებული იარაღის ჩამონათვალი, რომელიც მოიცავდა 52 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს, მაგრამ ამ იარაღს შორის არცერთი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი არ იყო²¹. მაგრამ, აჭარაში საველე გასვლის დროს, ხელვაზურის უშიშროების სამსახურის ოფისში, ICBL GC-მ აღმოაჩინა როგორც ქვეითსაწინააღმდეგო ასევე, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, რომლებიც ამოღებულ იქნა აჭარაში, ხელვაზურის რაიონის მოსახლეობიდან²².

1999 წელს მისი პირველი გამოცემის შემდეგ, Landmine Monitor-მა წარმოადგინა ანგარიში კერძო შეიარადებულ ჯგუფებთან დაკავშირებული მრავალი შემთხვევის შესახებ, რომელებმაც საქართველოდან შეაღწიეს აფხაზეთში და განათავსეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. 1999 წლის ბოლოს, ჩეხენეთში ბრძოლის განახლებამ გამოიწვია ნაღმების განთავსება საქართველოში, რომელიც ჩეხენეთს ესაზღვრება. 1999 წლის 9 აგვისტოს, ორი რუსული სუ-25 საჰაერო ხომალდი შევიდა საქართველოს საჰაერო სივრცეში დაღესტნიდან (სადაც რუსეთი ჩართული იყო დაღესწინის მემბონების წინააღმდეგ ბრძოლაში) და დაბომბა სოფელი ზემო ომალო და მისი მიმდებარე ტერიტორია. ქართულმა სამხედროებმა ამოიცნეს იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა, როგორც KSS-1S ასეტური ბომბები და, რომელიც მოიცავდა PFM-1S ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს²³. 2001 წლის მაისში ერთ-ერთმა საქართველოს ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ ადგილი პეტრი რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეხენეთის მონაკვეთის დანაღმვას სოფლების შატილისა და ომალოს მიმდებარე ტერიტორიაზე²⁴. რუსეთის ჯარისკაცებმა ასევე ნაღმები განათავსეს საქართველოში არსებული მათი სამხედრო ბაზების ახლოს.

საქართველოს და აფხაზეთის ძალებმა ათი ათასობით ნაღმი განათავსეს 1992-93 წლებში მიმდინარე ინტენსიური ბრძოლების დროს. ამ პერიოდის შემდეგაც გრძელდებოდა ორივე მხარის მიერ ნაღმების გამოყენების შესახებ განცხადებების გაკეთება. (იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში აფხაზეთის შესახებ).

ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემა, კვლევა და შეფასება

ნაღმების უმრავლესობა განლაგებულია მდინარე ენგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ყოფს საქართველოსა და აფხაზეთს. (იხილეთ ჩანაწერი აფხაზეთის შესახებ Landmine Monitor-ის 2004 წლის ანგარიშში). აფხაზეთის გარდა, ნაღმები განთავსდა რუსეთის სამხედრო ბაზების მახლობლად, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა საქართველოს მოქალაქეებს. 2004 წლის ივლისში, Survey Action Center-მა 2004 წლის ივლისში განახორციელა წინასწარი კვლევის მისია (Advance Survey Mission) საქართველოში ნაღმების ზემოქმედების ფაქტორთა კვლევის მოთხოვნათა შეფასების (Landmine Impact Survey) მიზნით. მან დაასკვნა, რომ ნაღმების პრობლემა შექმნა მეტწილად აფხაზეთს და მცირე რაოდენობის სამხედრო ბაზებსა და სტრატეგიულ აღგილებს, მაგრამ ნაღმები ასევე

განთავსებულია სომხეთთან, აზერბაიჯანთან, დაღესტანთან, ჩეჩნეთთან, თურქეთთან და ინგუშეთთან არსებულ სასაზღვრო ტერიტორიაზე²⁵. 2003 წლის ბოლოს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და თავდაცვის დეპარტამენტმა განახორციელეს შეფასების მისია საქართველოში, რის შედეგადაც გაკეთდა დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოში ნაღმების ზემოქმედება მინიმალური იყო²⁶. ასევე, 2003 წელს, სლოვენიის International Trust Fund-ის პროექტის კოორდინატორმა, იჯტოკ ჰოცევარმა, ჩაატარა საქართველოში ნაღმებთან დაკავშირებული სიტუაციის შეფასება²⁷. 2002 წლის შუა პერიოდში, „პალო ტრასტ“-მა ჩაატარა საქართველოში რესერვის სამი სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დანაღმული ფართობების პირველი დონის კვლევა (Level One Survey). კვლევის შედეგად განისაზღვრა, რომ ტერიტორია დანაღმული იყო, მაგრამ მას შემოვლებული პქონდა ეკლიანი მავრულის დობე და სამხედროები იცავდნენ. ამიტომ, ეს ტერიტორია ადამიანებისათვის უპირველეს პუმანიტარულ საფრთხეს არ წარმოადგენდა²⁸.

ნაღმების გაუვნებლება და კოორდინირება

სამხედრო მოქმედებებისა და სამხედრო ბაზების ზონაში ნაღმების გაუვნებლება თავდაცვის სამინისტროს დაევალა, შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია დასახლებულ პუნქტებზე, სააგრომობილო და სარკინიგზო გზებზე, ხოლო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი – სასაზღვრო რაიონებზე. 2004 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს განაღმვის ცენტრი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმით, კოორდინირების მანდატის გარეშე, რომლის მიზანს წარმოადგენს პუმანიტარული განაღმვის ოპერაციების განხორციელება საქართველოში.

2001 და 2002 წლებში, აშშ-მ საქართველოს მიაწოდა გასანაღმი მოწყობილობები, და განაღმვის ოპერაციათა ინსტრუქტორებიდან მომზადა 20 ქართველი, რომელთაც, თავის მხრივ, 34 სხვა სპეციალისტი მოამზადეს; შედეგად, საქართველოში განაღმვის დარგში მომზადებული 54 სპეციალისტია²⁹. 2000 წლის სექტემბერ-ნოემბერში, „ბიკონფრიტის ინიციატივით“, აშშ-ს სამხედროებმა ჩაატარეს ერთობლივი ტრენინგი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცებისათვის, თბილისის ახლოს მდებარე გორის სამხედრო ბაზაში.

2003 წლის სექტემბერში, საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ ერთობლივად გაენაღმათ კოდორის ხეობა³⁰. ამ პერიოდში გამოქვეყნებული საგაზეთო ინფორმაციის თანახმად, უსპერტებს მიაჩინათ, რომ ხეობაში ასობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმია და, რომ დანაღმული ველის რუკების არარსებობისა და განაღგურებული ადგილების გამო, შეუძლებელი იქნება მექანიკური გასანაღმი მოწყობილობების გამოყენება. თავდაპირველად ოპერაციები გადაიდო ამინდის პირობების გამო³¹. 2004 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში განაცხადა, რომ თითოეული მხარე მზად იყო განაღმვის სამუშაოების დასაწყის და, რომ გაეროს მისია საქართველოში უზრუნველყოფდა დახმარებას³². 2004 წლის სექტემბერში, განაღმვის ოპერაციები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გამო³³.

2002 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და ნატოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა (NAMSA) ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც თვალისწინებს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას მშვიდობის ნდობის ფონდის (Partnership for Peace Fund) პროექტის განხორციელებისათვის, სამხედრო ბაზებზე არსებული 300-მდე რეაქტიული ჭურვის დემილიტარიზებისა და უსაფრთხოდ განთავსების მიზნით და სამხედრო ბაზების გაწმენდა აუფეთქებელი ჭურვებისგან³⁴. ნატოს განცხადებით, ლუქსემბურგი იქნება პროექტის მთავარი დონორი, რომელიც უზრუნველყოფს 1,250,000 ევროს მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ დახმარებას ნაღდი ანგარიშსწორებით³⁵. 2003 წლის 23 ოქტომბერს, ლუქსემბურგმა ხელი მოაწერა ფინანსური მართვის ხელშეკრულებას Trust Fund-ის პროექტისათვის. ეს პროექტი – პირველი ასეთი სახის - ხელს შეუწყობს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას და საშუალებას მისცემს მოსახლეობას მომავალში გამოიყენო მიწა³⁶.

აღნიშვნული ხელშეკრულების თანახმად, ნატო უზრუნველყოფს მატერიალურ დახმარებას და ტრენინგს თბილისის მახლობლად არსებული კოფილი სამხედრო ობიექტების გაუვნებლების მიზნით³⁷. კოფილი საქართველოს სამხედრო ინჟინრების მიერ ჩამოყალიბებული ადგილობრივი გამნაღმველი ორგანიზაცია „ჯანი“ გააუვნებლებს 10,000 ჰექტარ ტბიერს, რომელიც შემდეგ გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებისათვის³⁸. 2004 წლის აგვისტოში, განაღმვის პროექტი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რადგან SAC წინასწარი კვლევის მისიის (Advance Survey

Mission) განცხადებით, რუსეთს გასასუფთავებელი მიწა ოფიციალურად არ გადაუცია საქართველოსთვის³⁹.

2004 წლის თებერვალში, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთი საინიცირო ჯარებს განათავსებდა საგარეჯოში არსებული ყოფილი საინიცირო საბრძოლო მასალების საწყობის მიმდებარე ტერიტორიის გასანაღმად დასავლეთ საქართველოში. რუსეთის არმიის ოფიცერმა განაცხადა, რომ განადგურდებოდა ამ ადგილას არსებული საბრძოლო მასალების უმრავლესობა იმგვარად, რომ საქართველო შეძლებდა კონტროლის დაწესებას ამ ობიექტზე⁴⁰. ICBL-GC-მ შემდეგ შეამოწმა საგარეჯოს საწყობი და ადმინისტრაცია, რომ იმის მიუხედავად, რომ რუსეთის საინიცირო ჯარებმა განათავსეს გასანაღმი მანქანა, რომ გაენაღმათ სამსედრო ბაზის გზები, მას არ გაუნაღმია სხვა ადგილები, მათ შორის ამოსული მცენარეებით დაფარული ზოგიერთი ადგილი. ICBL-GC-მ აღმოჩინა რამდენიმე PFM-1 და PMN-2 ტიპის ნაღმი, მათ შორის, ერთ-ერთი მათგანი აღმოჩინილ იქნა Survey Action Center-ის წარმომადგენლის თანდასწრებით. 2004 წლის ივნისში „HALO Trust“-მა მარკირება ჩაატარა საგარეჯოს საწყობში, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, იქ არანაირი პრევენციული ნიშნები არ შეიმჩნეოდა.

2001 წლის 29 იანვარს, მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თურქმა კოლეგამ აქმეტ ნეკდეტ სეზერმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორი სახელმწიფოს სახდვარზე ნაღმების განადგურების შესახებ⁴¹.

განაღმვის ოპერაციათა დაფინანსება

1993-2003 წლებში, საქართველოში განაღმვის ოპერაციების განხორციელებაში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 4.3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, რომლის დიდი ნაწილი აფხაზეთში „HALO Trust“-ის მიერ ჩატარებულ განაღმვის ოპერაციებზე დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი ნაწილით შესყიდულ იქნა ნაღმების დეტაქტორები, ჯავშანებილებები და ავტომანქანები⁴². 2003 ფისკალურ წელს, საქართველოში განაღმვის ოპერაციების განხორციელებაში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით აშშ-მ 1.05 მილიონი დოლარი გამოყო. 2003 წლის ბოლოს, აშშ-მ აღმფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობა „საკმარისად არ იყო დაინტერესებული ამ [ნაღმების] პრობლემის მოვარებით“ და, რომ არსებობდა დიდი საფრთხე იმისა, რომ განაღმვის ოპერაციებისათვის გამოყოფილი დაფინანსება უკანონოდ იქნებოდა მითვისებული⁴³. 2003 წელს საქართველოს მთავრობის შეცვლა აშპარად იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ს დახმარება გაგრძელდება. აშშ-ს საელჩოს თანამდებობის პირმა აღნიშნა, რომ 2004 წელს აშშ გეგმავდა 1.5 მილიონი დოლარის გამოყოფას საქართველოში განაღმვის სამუშაოების განსახორციელებლად⁴⁴.

UN Mine Action Investment მონაცემთა ბაზის შესაბამისად, 2003 წელს, ნიდერლანდებმა გამოყო 300,000 დოლარი საქართველოში ნაღმებსაწინააღმდეგო განსახორციელებლად, ხოლო კანადამ უზრუნველყო 68,960 დოლარის ოდენობის შემოწირულობა⁴⁵.

ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლება

აფხაზეთის გარდა, საქართველოში ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლებაში (MRE) მონაწილე ორგანიზაციებია: ICBL-ს საქართველოს კომიტეტი, „HALO Trust“, განათლების სამინისტრო და UNICEF. 2003 წელს, 2,610 ადამიანი დაესწრო ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ MRE სემინარებს. 2004 წლის იანვარსა და ივნისს პერიოდში, დაახლოებით 2,000 ადამიანი დაესწრო MRE სემინარებს⁴⁶.

1998 წლის შემდეგ, ICBL-GC-მ განახორციელა ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლებები საქართველოში. 2003 წელს, მან გარეშეული MRE დონისძიებები განახორციელა კახეთის რეგიონში, ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოსა და ოელავის ადმინისტრაციულ განყოფილებებში. ICBL-GC-მ გაავრცელა ბროშურები სკოლაში სამსედრო მომზადების საგნის მასწავლებლებისათვის, რომელშიც შეტანილი იყო ფოტოსურათები და ტექნიკური ინფორმაცია ნაღმების შესახებ. 2004 წლის თებერვალში, მან ჩატარა MRE ტრენინგი სამსედრო მომზადების საგნის 119 მასწავლებლისა და 20 სტუდენტისათვის, და მასწავლებლებს გადასცა MRE მასადები, როგორიცაა: ბროშურები, სამუშაო უზრნალები, კალენდარები, სტიკერები და პლაკატები. ICBL-GC-მ შექმნა კახეთის რეგიონში ნაღმების მსხვერპლთა მონაცემთა ბაზა, განახორციელა რამდენიმე საველე ვიზიტი და მოამზადა ორი ვიზიტ პრეზენტაცია ნაღმების/აუგეთქებელი ჭურვების პრობლემაბასთან დაკავშირებით. ის შეხვდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და პოლიციის წარმომადგენლებს და საავადმყოფოს მუშაკებს, კახეთის რეგიონში ნაღმებთან

დაკავშირებული სიტუაციის განხილვის მიზნით. მან გადაიღო ფილმი ორ სამხედრო ბაზაზე ვიზიტის დროს, რომელიც მოგვიანებით ნაჩვენები იყო პრეს-კონფერენციაზე თბილისში. 2003 წელს, ICBL-GC-მ თბილისში განათავსა ბილბორდები, დევიზით „ნაღმების საფრთხე ყველასათვის“, რომელზეც წარმოდგნილი იყო ფოტოსურათები და სტატისტიკური მონაცემები ნაღმების მსხვერპლთა შესახებ⁴⁷.

2003 წელს, „HALO Trust“-მა ზუგდიდში გახსნა ფილიალი, რაც შესაძლებლობას მისცემს მას ურთიერთობა დაამყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და უფრო ინტენსიურად ჩაუტაროს ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების გაკვეთილები იძულებით გადაადგილებულ პირებს და ზუგდიდის რაიონის და აფხაზეთს შორის მოძრავ ხალხს. „HALO Trust“ დაადგინა, რომ საჭირო იყო MRE-ს განხორციელება იმ ხალხისათვის, რომლებიც არალეგალურად კვეთებ საზღვარს, ხშირად ბავშვების თანხლებით⁴⁸. 2004 წლის ივლისში, „HALO Trust“ MRE გაკვეთილები ჩაუტარა ზუგდიდის რაიონიდან ჩამოსულ 23,125 ადამიანს, ხოლო 2004 წლის იანვარსა და ივლისს შორის პერიოდში - 18,456 ადამიანს. მას არანაირი განაღმვის ოპერაციები არ ჩაუტარებია ზუგდიდის რაიონში⁴⁹.

2003 წლის დეკემბერში, UNICEF-მა უზრუნველყო დახმარება ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სასწავლო ქართულენოვანი ბუკლეტების დამზადების საქმეში, რომლებიც უნდა გადასცემოდა იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ზუგდიდში⁵⁰. UNICEF დაეხმარა ICBLGC-ს მისი MRE დონისძიებების განხორციელებაში⁵¹. 2003 წლის ივლისში ჩატარებულმა მოთხოვნათა შეაფასების შედეგად, საჭირო გახდა, რომ UNICEF-ს შემუშავებინა და განხორციელებინა MRE დონისძიებები პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილებისათვის⁵². მაგრამ, 2004 წლის სექტემბერში, UNICEF-ს არანაირი დონისძიება არ განუხორციელებია საქართველოში ჩეჩენი ლტოლვილებისათვის⁵³.

ნაღმების აფეთქების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევები

არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ნაღმებისა და აუფექტებელი ჭურვების გამო დაღუბული ან დაშავებული ადამიანების რაოდენობის შესახებ⁵⁴. 2003 წელს, ICBL-GC-მ შეაგროვა მონაცემები საქართველოში მომხდარი 50 ახალი უბედური შემთხვევის შესახებ, რომლებიც გამოწვეული იყო ნაღმების, აუფეთქებელი ჭურვების ან იმპროვიზირებული ფეთქებადი მოწყობილობების გამო; რვა ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 42 - დაშავდა, მათ შორის იყო რვა ბავშვი, სამი ქალი და ცხრა სამხედრო პირი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამგვარ შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2002 წელს რეგისტრირებულ 97 (31 დაიღუპა და 66 დაშავდა) შემთხვევასთან შედარებით და 2001 წელს რეგისტრირებულ 111 შემთხვევასთან (37 დაიღუპა და 74 დაშავდა) შედარებით. 2003 წლის აპრილში, სამი ქართველი ჯარისკაცი დაშავდა ნაღმის აფეთქების გამო, აშშ-ს მიერ დაფინანსებული მოსამზადებელი ტრენინგის დროს⁵⁵.

ICBL-GC-ს მონაცემთა ბაზა ამჟამად საქართველოში ნაღმების გამო გამოწვეული უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. მაგრამ, 2004 წლის ივლისში, წინასწარი კვლევის მისიამ (Advance Survey Mission) საქართველოში დააყენა მონაცემების სიზუსტის საკითხით თითოეული რეგისტრირებული შემთხვევის შესახებ ამომწურავი მონაცემების არარსებობის გამო. ICBL-GC ნაღმებით გამოწვეული უბედური შემთხვევების შესახებ უფრო დეტალურ მონაცემთა ბაზის შემუშავების პროცესშია⁵⁶.

2004 წელს ჯერ კიდევ არსებობს მონაცემები უბედური შემთხვევების შესახებ. იანვარსა და სექტემბერს შორის პერიოდში, ICBL-GC-მ ნაღმებით/აუფეთქებელი ჭურვებით/იმპროვიზირებული ასაფეთქებელი მოწყობილობებით გამოწვეული 53 ახალი უბედური შემთხვევა დააფიქსირა. შვიდი შემთხვევა მოხდა საგარეოს სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქართველოში ნაღმებით გამოწვეული უბედური შემთხვევების საერთო რაოდენობა უცნობია. 2001 წლის შემდეგ ICBL-GC-მ 311 უბედური შემთხვევა დააფიქსირა, რომელთაგან 55 იყო ბავშვი, 21 - ქალი და 44 - შეიარაღებული ჯარების პერსონალი, გამნაღმველები ან რუსეთის სამშვიდობოები.

ერაყში, 2003 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში მყოფი ოთხი გამნაღმველი დაშავდა, ტიკრიტში მიმდინარე განაღმვის ოპერაციების დროს⁵⁷.

დაზარალებულთა დახმარება

საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში არსებული საავადმყოფოები რეგულარულად განიცდიან ძირითადი სამედიცინო მასალების ნაკლებობას, რაც გამოწვეულია იმის გამო, რომ არ არსებობს დაფინანსება, და როგორც ჩანს, სპეციალიზირებული რეაბილიტაცია და

ფსიქოლოგიური დახმარება მიუღწეველი ან მიუწვდომელი რჩება ნაღმის აფეთქებისაგან დაზარალებულებისათვის⁵⁸.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ) რეგულარულად აწვდის მოწყობილობებს, მასალებსა და მედიკამენტებს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, სოცემის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, აგუძერისა და ტყვარჩელის საავადმყოფოებს, დარჩელისა და ჯვარის ორ სამედიცინო დაწესებულებას; გალისა და ოჩამჩირეს საავადმყოფოებში გაიგზავნა პირველადი სამედიცინო დახმარების მოწყობილობები. 2001 წლის შემდეგ, წჯსკ-ის დახმარებით საავადმყოფოებში განცურნებს ნაღმით გამოწვეული უბედური შემთხვევის დროს დაშავებული 32 ადამიანი: შვიდი - 2003 წელს, 16 - 2002 წელს და 14 - 2001 წელს. 2003 წელს, საქართველოდან და აფხაზეთიდან ჩამოსული ოთხი ქირურგი ესწრებოდა მოსკოვში ჩატარებულ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სემინარს თემაზე: ქირურგია ომის პერიოდში; ხუთი ქირურგი ესწრებოდა მოსკოვში ჩატარებულ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სემინარებს - თემაზე: ქირურგია ომის პერიოდში - როგორც 2001 წელს, ასევე 2002 წელს⁵⁹.

წჯსკ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით, 1995 წლიდან დახმარებას უწევს პროთეზირების/ორთოპედიის ორ ცენტრს თბილისა და გაგრაში. საქართველოში მხოლოდ ეს ორი ძირითადი ცენტრია ხელმისაწვდომი ფიზიკური რეაბილიტაციისათვის. 2003 წელს, წჯსკ-მ თბილისში არსებული ცენტრის მმართვა გადააბარა საქართველოს პროთეზული და ორთოპედიული რეაბილიტაციის ფონდს, გრძელვადიანი მდგრადობის პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით. წჯსკ განაგრძობს ამ ცენტრისათვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფას 2004 წლის განმავლობაში. თბილისის ორთოპედიულ ცენტრში რამდენიმე ასეული ადამიანი თავის რიგს ელოდებოდა დახმარებისათვის; 2002 წლის ბოლოსთვის 458 ამპუტაციი იყო. 1999 წლის შემდეგ, აღნიშნულმა ორმა ცენტრმა დაამზადა 2,505 პროთეზი (550 - ნაღმზე დაზარალებულებისათვის) და 3,375 ორთოპედიული აპარატი (სულ მცირე ორი ცალი - ნაღმზე დაზარალებულებისათვის), და გაანაწილა 90-ზე მეტი ინვალიდის ეტლი და 3,516 ყავარჯენი; მათ შორის 373 პროთეზი (80 - ნაღმზე დაზარალებულებისათვის), 1,082 ორთოპედიული აპარატი (ორი - ნაღმზე დაზარალებულებისათვის), 20 ინვალიდის ეტლი (ორი - ნაღმზე დაზარალებულებისათვის) და 1,230 ყავარჯენი (88 - ნაღმზე დაზარალებულებისათვის), 2003 წელს. წჯსკ ასევე ატარებს ტრენინგს თრთოპედიის საეციალისტებისათვის. 2003 წელს, სამი სპეციალისტი დაესწრო ხანძოკლე ტექნიკურ კურსებს სოხაში, რუსეთში, და 2002 წლის მაისში ერთი ტექნიკოსი გაიგზავნა გერმანიაში, პროთეზირებისა და ორთოპედიის სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვიან კურსებზე. 2001 წლის მაისში, ხუთმა ორთოპედიის ტექნიკოსმა მიიღო საერთაშორისო აღიარებული კვალიფიკაციები პროთეზირებისა და ორთოპედიის სფეროში სამთვიანი ტრენინგის კურსის დასრულების შემდეგ, რომელიც პროთეზირებისა და ორთოპედიის საერთაშორისო საზოგადოების (ISPO) II დონის სტანდარტის ეკვივალენტურია; 14 სტუდენტმა გაიარა ორწლიანი ტრენინგის კურსები 2000 წელს⁶⁰.

2004 წლის დასაწყისში, ICBL-GC-მ ჩატარა ფსიქოლოგიური დახმარება საგარეჯოში ნაღმზე დაზარალებულებისათვის საქართველოში პირველი ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის „ნდობის“ ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის მეშვეობით. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა - „სამედიცინო და ფსიქო-სოციალური პროგრამა ინვალიდებისათვის“ - თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სარეაბილიტაციო ცენტრებში მოთავსებულ ინვალიდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, ტარდება ამბულატორული მკურნალობა, საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება, და კონსულტაციები იურიდიული უფლებების შესახებ⁶¹.

ორი ნაღმზე დაზარალებულებული მონაწილეობდა უნიკალური, შეენიჭა ში, შეეიცარიაში 2004 წლის ოქერვალში ჩატარებულ ტრენინგზე - „აიმაღლეთ ხმა“ (Raising the Voices).

ინვალიდობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პრაქტიკა

ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ 1995 წლის ივნისის კანონში ხაზგასმულია ინვალიდთა უფლებები; მაგრამ, ეს კანონი სრულად არ განხორციელებულა საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო⁶².

SeniSvnebi

¹ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დაკით აფციაურის წერილი Landmine Monitor-ს, 2003 წლის 10 ივნისი. იხილეთ Landmine Monitor-ის 2003 წლის ანგარიში, გვ. 583-584, და Landmine Monitor-ის წინა ანგარიში ნაღმების აკრძალვის მხარდასაჭერი განცხადებების შესახებ.

² ინტერვიუ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, თბილისი, 2002 წლის 6 თებერვალი. წარმომადგენელმა ასევე წერილობითი პასუხები გასცა Landmine Monitor-ის მიერ წარმოდგენილ შეკითხვებს. ერთ-ერთ ამგვარ წერილობით პასუხებში ნათქვამია: „აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჯერ კიდევ არსებობს დანაღმული ტერიტორიები, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და, ამ ტერიტორიაზე საქართველოს არ შეუძლია მონიტორინგისა და განაღმვის სამუშაოების ჩატარება. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მიერ დატოვებულია ასობით სამხედრო ობიექტი, სადაც განთავსებულია ნაღმები, ფეთქებადი ნივთიერებები და სხვადასხვა პროფესიული დაავადებების გამომწვევი წყაროები; სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სახსრები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სახსრები ამბგარი საფრთხის წარმომქნელი წყაროების ლიკვიდირებისათვის.“

³ სიტყვიერი განცხადება, საქართველოს მუდმივი მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო), FSC. DEL/12/01, 2001 წლის 17 იანვარი.

⁴ ხელმოწერის ცერემონიალზე, საქართველოს ელჩმა განაცხადა: „საქართველო . . . დარწმუნებულია, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამო ადამიანისათვის მიყენებული ზიანი და სოციალური დანახარჯები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამ ნაღმების სამხედრო ლირებულება . . . საქართველო ყველანაირად დაუჭერს მხარს და ხელს შეუწყობს ნაღმების მოხმარების აკრძალვას . . . ამიტომ, საქართველო მხარს უქსერს ობავის პროცესს და მის მიზანს - ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, შენახვის, წარმოებისა და გადაცემის აკრძალვა და მათი განაღებულება.“ საქართველოს ელჩის თედო ჯაფარიძის გამოსვლა ნაღმების აკრძალვის კონვენციის ხელმოწერის ცერემონიალზე, ოტავა, 1997 წლის 34 დეკემბერი.

⁵ წერილი (№11/326) ICBL-GC-ს 6. ლალიაშვილისაგან, თავდაცვის პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, თავდაცვის სამინისტრო, 2004 წლის 23 ივნისი (ICBL-GC-ს არაოფიციალური თარგმანი).

⁶ ეს თავდაბირველად წარმოდგენილი იყო Landmine Monitor-ის 1999 წლის ანგარიშში: ინტერვიუ პოლკოვნიკ პ. კალანდაძესთან, საინჟინრო დეპარტამენტის უფროსი, თავდაცვის სამინისტრო, 1998 წლის აპრილი.

⁷ თავდაცვის სამინისტროს მიერ ICBL-ს საქართველოს კომიტეტისათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2002 წლის 6 თებერვალი.

⁸ Landmine Monitor-ის 2001 წლის ანგარიშში (გვ.878) მითითებული ინფორმაციის თანახმად, ნაღმები ინახება საგარეჯოს, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებში.

⁹ „აშშ დაქმარება საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანას,“ Xinhua (მოსკოვი), 2004 წლის 14 იანვარი.

¹⁰ მორატორიუმი გამოცხადდა გაეროში, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 1996 წლის სექტემბერში, და მას შემდეგ მრავალჯერ განმეორდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ. იხილეთ Landmine Monitor-ის 1999 წლის ანგარიში, გვ. 792, და ეუთოში გაკეთებული სიტყვიერი განცხადება, 2001 წლის 17 იანვარი.

¹¹ „ეუთო აღშფოთებას გამოთქვამს ქართულ-ოსურ კონფლიქტის ზონაში ნაღმებთან დაკავშირებით“, ინტერვიუ (თბილისი), 2004 წლის 10 სექტემბერი.

¹² „რუსი გენერალი ამბობს, რომ ქართველებმა წასვლისას დატოვეს ხაფანგი-ნაღმები“, ტელევიზიის პირველი არხი (ჩანაწერი), მოსკოვი, 2004 წლის 20 აგვისტო.

¹³ „სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, Strana.ru, საინფორმაციო საგარენტო, 2004 წლის 24 აგვისტო.

¹⁴ ინტერვიუ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, თბილისი, 2002 წლის 6 თებერვალი. ნაღმების გამოყენების ფაქტი დადასტურდა წერილობით პასუხებში, რომლებიც აღნიშნულმა წარმომადგენელმა გასცა Landmine Monitor-ის მიერ წარმოდგენილ შეკითხვებზე. მან ასევე განცხადა, რომ ნაღმები გამოყენებულ იქნა პანისის ხეობაში. მან დაადასტურა 2002 წლის ივნისში ნაღმების განთავსების ფაქტი და აღნიშნა, რომ ის ადგილები, სადაც ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებია განლაგებული, მიუღწეველია მანქნებისათვის. სატელეფონო ინტერვიუ თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთან, 2002 წლის 23 და 24 ივნისი.

¹⁵ „კოდორის ხეობის მთავარი მიმართულება პერმანენტულად დანაღმულია,“ ახალი თაობა, №74, 2003 წლის 17 მარტი, გვ. 7. კვიცანმა რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაიმეორა მისი შენიშვნები ICBL საქართველოს კომიტეტის ინტერვიუში. ICBL GC-ს ინტერვიუ ემზარ კვიციანთან, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი კოდორის ხეობაში, 2003 წლის 23 მარტი. უფრო მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Landmine Monitor 2003, გვ. 584-585.

¹⁶ წერილი ICBL საქართველოს კომიტეტს შოთა დოდონაძისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, №8-14/621, 2003 წლის 23 მაისი.

¹⁷ წერილი დაკით აფციაურისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, 2003 წლის 10 ივნისი.

¹⁸ „ქართველები წინ მიიწევენ აჭარის ნაკობტერმინალში მიმდინარე განაღმფის სამუშაოებში,“ იტარ-ტახი (თბილისი), 2004 წლის 6 მაისი; www.civil.ge/eng/article.php?is=6819 (Civil Georgia, 2 მაისი, 2004 წ.).

¹⁹ „მდინარე ჩოლოქთან აღმოჩენილ იქნა ტანქსაწინააღმდეგო ნაღმი“, ახალი თაობა, 2004 წლის 14 ივნისი.

²⁰ „აჭარა: ნაღმების ჩაბარების ვადა შუაღამეს იწურება,“ RIA Novosti (თბილისი), 2004 წლის 16 მაისი.

²¹ <http://www.primenewsonline.com/index.php?action=show&type=news&id=26021> (2004 წლის 11 მაისი).

²² ICBL-GC-ს მონიტორინგის ჯგუფის საველე ვიზიტი ხელვაჩაურის რაიონში, აჭარა, 2004 წლის 24 აგვისტო.

²³ იხილეთ „პრაიმ-ნიუსი“, (ტელევიზია), თბილისი, საქართველო, 1999 წლის 10 აგვისტო; „ქართველი დეპუტატი აცხადებს, რომ რუსული ბომბის ტიპი დადგენილია,“ RIA (საინფორმაციო სააგენტო), 1999 წლის 11 აგვისტო.

²⁴ ინტერვიუ ბ-ნ ხერგო გუმბერიძესთან, უშიშროების საბჭოს თანამშრომელი, 2001 წლის 23 მაისი.

²⁵ ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილი მაიკ კენდელენისაგან, დირექტორი კვლევის საკითხებში, Survey Action Center, 2004 წლის 29 სექტემბერი.

²⁶ წერილი ICBL საქართველოს კომიტეტს დავით აფიაურისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირები მოადგილე, 2004 წლის 22 იანვარი; განაღმების ჰუმანიტარული ოპერაციების შემსრულებელი ქვეჯგუფის 2003 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმი, პოლიტიკურ-სამსედრო საქმეთა ბიურო, აშშ-ს სახლმწიფო დეპარტამენტი, ვაშინგტონი, D.C., 2003 წლის 23 დეკემბერი.

²⁷ წერილი დავით აფიაურისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, 2004 წლის 22 იანვარი.

²⁸ ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილი ICBL საქართველოს კომიტეტს ტიმ ტერნერისაგან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“, აფხაზეთი, საქართველო, 2002 წლის 28 ოქტომბერი.

²⁹ აშშ-ს სახლმწიფო დეპარტამენტი, „განაღმების ჰუმანიტარულ ტერაციათა განმახორციელებელი ქვეჯგუფის 2002 წლის 14 ივნისის კრების ოქმი.“

³⁰ „საქართველო ითანამდებობს აფხაზ სეპარატისტებთან განაღმების საქმეში,“ ინტერვაქსი (საქართველო), 2003 წლის 22 სექტემბერი.

³¹ „საქართველო: ერთობლივი განაღმების ოპერაციები კოდორის ხეობაში გადაიდო მომავალ გაზაფხულმდე“ კაგასია-პრესი (საქართველო), 2003 წლის 10 სექტემბერი.

³² „საქართველო, აფხაზეთი თანახმად განაღმოს კოდორის ხეობა,“ ინტერვაქსი საინფორმაციო სამსახური (თბილისი), 2004 წლის 10 ივნისი.

³³ ინტერვიუ დევიდ მაკმახონთან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“, სოხუმი, 2004 წლის 8 სექტემბერი.

³⁴ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) პრეს-რელიზი „NAMSA საქართველოსთან ხელს აწერს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს დემილიტარიზაციის ოპერაციებში მატერიალურ-ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის შესახებ“, №2002: 113, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

³⁵ იქვე.

³⁶ ნატო, „დღეს საქართველოსთან ხელი მოეწერა ფინანსური მართვის ხელშეკრულებას სატრასტო ფონდის პროექტისათვეს,“ №2003:127, 2003 წლის 28 ოქტომბერი, იხილეთ: www.nato.int/docu/pr/2003/p03-127e.htm, 2004 წლის 12 ოქტომბერი.

³⁷ ნატოს პრეს-რელიზი, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

³⁸ იქვე.

³⁹ ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილი მაიკ კენდელენისაგან, Survey Action Center, 2004 წლის 29 სექტემბერი.

⁴⁰ „რუსეთის სამხედროები განახორციელებენ განაღმებას საქართველოში,“ ინტერვაქსის საინფორმაციო სამსახური (თბილისი), 2004 წლის 27 თებერვალი.

⁴¹ „საქართველო, თურქეთი თანახმად დაამყაროს სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობა,“ იტარ-ტახი (ანგარა), 2001 წლის 29 იანვარი.

⁴² აშშ-ს სახლმწიფო დეპარტამენტი, „მიწაზე უსაფრთხოდ სიარული,“ 2002 წლის სექტემბერი.

⁴³ წერილი დავით აფიაურისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, 2004 წლის 22 იანვარი; განაღმების ჰუმანიტარული ოპერაციების შემსრულებელი ქვეჯგუფის 2003 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმი, მონაცემთა ცხრილი, პოლიტიკურ-სამსედრო საკითხთა ბიურო, აშშ-ს სახლმწიფო დეპარტამენტი, ვაშინგტონი, D.C., 2003 წლის 23 დეკემბერი;

⁴⁴ ICBL-GC-საოფის ელფოსტით გაგზავნილი წერილი დევიდ პეტერისაგან, მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში, აშშ-ს საელჩო საქართველოში, 2004 წლის 12 ივნისი.

⁴⁵ UN Mine Action Investment მონაცემთა ბაზა, www.mineactioninvestments.org 2004 წლის 29 ივნისი.

⁴⁶ Landmine Monitor-ის ანგარიში 2000, გვ.825; Landmine Monitor-ის ანგარიში 2001, გვ.881; Landmine Monitor-ის ანგარიში 2002, გვ. 656; Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 586 ელ-

ფოსტა *Landmine Monitor*-ს (HI) ნარინჯ ბერიკაშვილისგან, კოორდინატორი, ICBL-ის საქართველოს კომიტეტი, 2004 წლის 29 ივნისი.

⁴⁷ 2003 წლის ოქტომბერში, Ploughshares ფონდმა 10,000 დოლარი გამოუყო ICBL-GC-ს მისი MRE და ადვოკატიტების დონისძიებებისათვის. 2004 წლის იანვარში, კანადამ 21,232 დოლარი გამოუყო ICBL-GC-ს მისი MRE და ადვოკატიტების დონისძიებებისათვის. მანამდე, 2002 წელს, ICBL-GC-მ შეისწავლა სასკოლო პროგრამა თბილისში და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ სკოლაში შეზღუდული ისწავლება ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები; მასშავლებლებს არა აქვთ ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების გაკვეთილების ჩასატარებლად საჭირო სახელმძღვანელოები ან მასალები. ICBL-ს საქართველოს კომიტეტის მიერ ჩატარებული სასკოლო პროგრამის შესწავლის შედეგები, 2002 წლის ოქტომბერი.

⁴⁸ დორენს დევინ, „ნაღმსაწინააღმდეგო აქტივობების მოთხოვნების შეფასების მისია – საქართველო“, UNICEF, 2003 წლის ივნისი, გვ. 10. ასევე იხილეთ *Landmine Monitor*-ის ანგარიში აფხაზეთის შესახებ.

⁴⁹ „HALO Trust“, ანგარიში *Landmine Monitor*-სათვის, 2004 წლის 28 ივნისი.

⁵⁰ განაღმების ოპერაციათა მხარდაჭერი ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენი, 2004 წლის თებერვალი.

⁵¹ იხილეთ *Landmine Monitor*-ის ანგარიში 2001, გვ. 881

⁵² განაღმების ოპერაციათა განხორციელების მოთხოვნათა შეფასების მისია – საქართველო“, 2003 წლის ივნისი, გვ.17

⁵³ სატელეფონო ინტერვიუ ინგრიდ კოლბ-პინდარმანტოსთან, პროგრამის კოორდინატორი, UNICEF საქართველო, 2004 წლის 10 სექტემბერი.

⁵⁴ თუ სხვაგვარად არ იქნა წარმოდგენილი, ამ ნაწილში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია ემყარება ICBL-GC-ს უბედურ შემთხვევათა მონაცემთა ბაზას, რომელშიც შეტანილია კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების და თბილისის სააგადმყოფოებისგან მიღებული ინფორმაცია ასევე, 2001 წლის შემდეგ საინფორმაციო საშუალებების მიერ გადმოცემულ ინფორმაციასა და კვლევის შედეგებს.

⁵⁵ „სამი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა აშშ-ს ტრენინგების დროს“, Agence France Presse, 2003 წლის 16 აპრილი.

⁵⁶ Survey Action Center, „წინასწარი კვლევის მისია საქართველოში: 2004 წლის 17-26 ივნისი,“ გვ. 10.

⁵⁷ „დაჭრილი ქართველ მშვიდობისმყოფელთა რიგებში“, მთავარი განერა, 2003 წლის 28 აგვისტო; „დაჭრილი მშვიდობისმყოფელი სახლში დაბრუნდა,“ სეიმოდნაია გრუზია, 2003 წლის 23 ოქტომბერი.

⁵⁸ იხილეთ *Landmine Monitor*-ის ანგარიში 2001, გვ. 883

⁵⁹ ICBL-ს წლიური ანგარიში 2003, „ექნევა, 2004 წლის ივნისი, გვ. 223; ICRC-ს სპეციალური ანგარიშები, „ნაღმსაწინააღმდეგო აქტივობები 2002,“ ექნევა, 2003 წლის ივნისი, გვ. 44; „ნაღმსაწინააღმდეგო აქტივობები 2001,“ 2001 წლის ივნისი, გვ. 34.

⁶⁰ ICRC-ს ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამები, „წლიური ანგარიში, 2003,“ უქნევა, 2004 წლის 9 მარტი, გვ. 15-16,26; ICRC, „წლიური ანგარიში 2003,“ 2004 წლის ივნისი, გვ. 223; „წლიური ანგარიში 2002,“ 2003 წლის ივნისი, გვ. 10; „წლიური ანგარიში 2001,“ 2002 წლის 14 აპრილი; „წლიური ანგარიში 2000,“ 2001 წლის 31 მარტი; „წლიური ანგარიში 1999,“ 2000 წლის 31 მარტი, გვ.11; ელფოსტით გაგზავნილი წერილი მაია წომიასგან, კომუნიკაციების განყოფილების უფროსი, ICRC საქართველო, 2004 წლის 13 იანვარი; თბილისში ICRC-ს მისიის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები, 2003 წლის 17 მარტი.

⁶¹ იხილეთ *Landmine Monitor*-ის ანგარიში 2001, გვ. 883-884; *Landmine Monitor*-ის ანგარიში 2003, გვ. 587-588.

⁶² წერილი ICBL GC-ს მარინა დუდუშაურისაგან, მინისტრის მოადგილე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მიმ. № 17/06-134, 2001 წლის 23 აპრილი.